

რა მოიმოქმედს პრიზისის დასაძლევად მსოფლიო ბანკებმა

გაზეთი “ალია” – 20-22 სექტემბერი, № 116, 2008

მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი გრძელდება. უცხოური სააგენტოების ინფორმაციით, ფინანსური კრიზისის დასაძლევად მსოფლიოს ცენტრალური ბანკები ერთიანდებიან. ევროპის ცენტრალური ბანკი, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, ინგლისის, შვეიცარიის, კანადისა და იაპონიის ბანკები ბირჟებზე სიტუაციას ერთად დაარეგულირებენ. ამერიკის ბაზარზე უკვე გაიზარდა საფონდო ინდიკატორები. მიუხედავად ამისა, დოლარის კურსის დაცემა გრძელდება. ინდუსტრიული ინდექსების ზრდა აზიის ქვეყნებშიც დაიწყო, თუმცა ექსპერტები აცხადებენ, რომ კრიზისი ჯერ დაძლეული არაა.

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– ასეთი მიღომა ცენტრალური ბანკების, ანუ სხვადასხვა სახელმწიფოების ძალისხმევის გაერთიანების, ეს იდეა ჩაისახა ჯერ კიდევ დიდი დეპრესიის ეპოქაში, ანუ გასული საუკუნის 30-იან წლებში. სწორედ ამან სტიმული შექმნილიყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. მათი შექმნის იდეა სწორედ ეს იყო, რომ სხვადასხვა სახელმწიფოების ზალისხმევა გაერთიანებულიყო გლობალური ფინანსური კრიზისების დასაძლევად. ახლა, როდეც მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები ერთობლივად იწყებენ მოქმედებას, ეს რა თქმა უნდა მისასალმებელია, რადგან მთელ მსოფლიოს აქვს გააზრებული, რომ თუ დაიწყო კრიზისი რომელიმე ქვეყანაში ის ჩაითრევს დანარჩენ ქვეყნებსაც. თუმცა ეს იმავდროულად დასტურია იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ არის ის ქმედითუნარიანი ინსტრუმენტი, რისთვისაც ის შეიქმნა.

– თქვენი აზრით ეს გაერთიანება შეძლებს მსოფლიო საბანკო კრიზისის დაძლევას?

– აქ ორი რამეა. ჯერ ერთი ერთობლივი ფინანსური რესურსი იზრდება და მეორეც, შეთანხმებული მუშაობა ნიშნავს, რომ ბანკები იმოქმედებენ ისე,

რომ სავალუტო ოპერაციებზე ერთი ვალუტის დევალვაციით მეორე ვალუტის მქონემ არ იხეიროს. ესაა სწორედ ამის სტრატეგია და ტაქტიკა და ამას უნდა მოჰყვეს დადებითი შედეგები. ჩემი აზრით მსოფლიო ამ კრიზის დაძლევს და დადგენა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სერიზოული რეფორმის საკითხი.

— რამდენად აისახება მსოფლიო საბანკო კრიზისი საქართველოზე და ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ამ ტალღამ გადაუაროს საქართველოსაც?

— არც ზედმეტ პანიკაში არ უნდა ჩავარდეთ და არც ზედმეტად ოპტიმისტები ვიყოთ. საქმე იმაშია, რომ ჩვენი საბანკო სისტემა იმდენად ინტეგრირებული არ არის მსოფლიო საბანკო სისტემასთან, რომ ასეთი დომინოს ეფექტი გვქონდეს. მეორე მხრივ, ჩვენი ბანკების საქმიანობა ყოველთვის იყო დაფუძნებული იაფი საკრედიტო რესურსის მოძიებაზე უცხოური ბანკებისაგან და ამით თავისი საბანკო აქტივობის გაგრძელებაზე საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა, რომ უფრო იაფი საბანკო რესურსის მიღება შესუსტებულია, ეს აშკარად სახეზეა და ეს პროცესი როგორც ჩანს გაგრძელდება. ყველაფერი მაინც დამიკიდებულია იმაზე, რომ თუ სპეციალური პროგრამების ქვეშ საქართველოში შემოვა გარკვეული ფინანსური დახმარება, მათ შორის, როგორც განცხადებული იყო აზიის განვითარების ბანკიდან და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან, შესაძლოა მსოფლიო საბანკო კრიზისის საქართველოზე ზეგავლენა არც თუ ისე დიდად მტკიცნეული იყოს.

დიმიტრი ტიკარაძე